

„პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“, როგორც ზოგადი
სავალდებულო მოდული პროფესიული განათლების მოდულურ
პროგრამებში

*ლელა ეძგვერადე - ასოცირებული პროფესორი, სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტი,
ქუთაისი, საქართველო*

**“PERSONAL AND INTERPERSONAL SKILLS” AS A GENERAL
COMPULSORY MODULE OF VOCATIONAL EDUCATION MODULAR
PROGRAMS**

*Lela Edzgeradze – Associate Professor, Department of Teaching Methodology, Akaki Tsereteli
State university, Kutaisi, Georgia*

Abstract

Introduction and aim:

Implementation of vocational education modular programs is one of the priorities of the educational system of Georgia. A significant portion of the structures of these programs is composed of general compulsory modules, which are common for all programs.

“Personal and Interpersonal Skills” is one of the compulsory modules. It is implemented in parallel with another compulsory module “Communication”. Both these modules are aimed at developing skills required for the relationships with other people and groups.

The outcomes of the modules in syllabuses are clearly separated: the module “Communication” requires the confirmation of the knowledge of technical aspects, but within the module “Personal and Interpersonal Skills”, an emphasis is placed on the aspect of human relationship. However, coincidences at the level of performance criteria and particular indicators are hard to avoid. There is also a difficulty that the same references are indicated in syllabuses, and other Georgian literature sources are virtually non-existent.

Frequently, it is difficult for implementing personnel to separate some aspects of these two modules that, in some cases, causes situation, when these modules cancel each other out.

Research methodology:

The given paper has been performed by an implementer of the module “Personal and Interpersonal Skills”. It is based on personal observations and on the analysis of information obtained as a result of students’ survey.

Results and implications:

These problems created the idea of the necessity of integrating these modules that is not devoid of logic. However, in this case, there is a risk that an emphasis will be placed on technical aspect of communication, and not enough attention will be given to significant aspect of personal and interpersonal skills that is unacceptable. It is necessary to get a good understanding of fact that “Personal and Interpersonal skills” is a module, which is mostly oriented toward the formation of values and attitudes that underlies any type of relationship.

Regardless of whether these modules are integrated or not, it is necessary to deal with the issue of interrelation of notions “communication” and “interpersonal skills”. Frequently, they are perceived as synonyms, or, in addition, the interpersonal skills are considered as one of the constituent components of

communication. However, as more justified seems the approach, according to which, the communication skill becomes one of the component of interpersonal skills.

Conclusion:

The development of a new module or further improvement of the already existing modules, must be based on a good understanding of the essential aspects of the problem. Also, it is necessary to carefully study and analyze the existing practice of implementation of these modules. It is necessary to create textbooks adapted to the particular modules. This process must involve the persons really implementing these modules.

Keywords: vocational education; module; personal and interpersonal skills, communication.

პროფესიული განათლების მოდულური პროგრამების განხორციელება საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ პროგრამების სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს ზოგადი სავალდებულო მოდულები, რომლებიც საერთოა ყველა პროგრამისათვის. მათი შედეგების დადასტურება აუცილებელია ნებისმიერი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის.

საქართველოში დანერგილ პროფესიული განათლების მოდულურ პროგრამებში არის ექვსი ასეთი მოდული: საინფორმაციო ტექნოლოგიები, რაოდენობრივი წიგნიერება, ინგლისური ენა, კომუნიკაცია, პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები, მეწარმეობის საფუძვლები. ისინი აყალიბებენ გამჭოლ კომპეტენციებს, რომლებიც გაზრდიან ინდივიდის წარმატების შესაძლებლობას ნებისმიერ პროფესიულ საქმიანობაში.

მოდულის „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“ მოცულობა ერთ კრედიტს შეადგენს. იგი ისწავლება ასევე ზოგადი სავალდებულო მოდულის „კომუნიკაცია“ (ეთმობა 5 კრედიტი) პარალელურად. ორივე ამ მოდულის მიზანი სხვა ადამიანებთან და ჯგუფებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების განვითარებაა. ამ მოდულებთან ერთად არის რეკომენდებული „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ (4 კრედიტი) შესწავლა, რომელიც, თავის მხრივ, საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით კომუნიკაციისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს აძლევს შემსწავლელს. ეს სამი მოდული მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ერთმანეთს აძლიერებს.

პროფესიული პროგრამების დანერგვის პროცესში „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარებისა“ და „კომუნიკაციის“ მოდულების განხორციელების პრაქტიკამ ფაქტობრივად ყველა რგოლში გამოკვეთა პრობლემები: მითითებული ლიტერატურა არ არის მორგებული მოდულთა სპეციფიკას, რაც როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის გარკვეულ დაბნეულობას იწვევს და ამნელებს სასწავლო პროცესის წარმართვას; განმახორციელებელ პერსონალს რიგ შემთხვევებში უჭირს ამ ორ მოდულს შორის არსებული არსებითი სხვაობის გამოკვეთა; რთულდება ზოგიერთი შესრულების მტკიცებულების დადასტურება; გარკვეული ხარვეზები გვხვდება სილაბუსის დონეზეც.

სილაბუსებში მოდულების შედეგები ერთმანეთისაგან მკაფიოდ არის გამიჯნული: მოდულში „კომუნიკაცია“ პროცესის ტექნიკური მხარის ფლობის დადასტურება მოითხოვება, „პიროვნულ და ინტერპერსონალურ უნარებში“ კი ადამიანური ურთიერთობების ასპექტია გამოკვეთილი, განსხვავებულია რეკომენდებული თემატიკაც.

მოდულების შინაარსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პროფესიული განათლების ფარგლებში მოდული „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“ ორიენტირებულია სტუდენტთა ზოგად ინფორმირებაზე. მისი ძირითადი ამოცანაა შემსწავლელს გააცნოს ძირითადი პერსონალური და ინტერპერსონალური უნარები, გააზრებინოს მიმართება პიროვნულსა და ინტერპერსონალურ უნარებს შორის, გააცნობიერებინოს საკუთარი და სხვა ადამიანების პიროვნული თავისებურებების, მოტივებისა და საჭიროებების ადეკვატურად აღქმის მნიშვნელობა საქმიანი ურთიერთობის პროცესში. სწორედ ამ ამოცანების გადაჭრის კვალობაზე არის შესაძლებელი მოდულის შედეგების მიღწევა.

„მოცემული მოდულის დასრულების შემდეგ პირი შეძლებს:

- ადამიანებთან ურთიერთობას განსხვავებულ სიტუაციებში
- სამუშაო ჯგუფში მუშაობასა და თანამშრომლობას
- თვითმოტივირებასა და ინიციატივის გამოვლენას
- მედიაციასა და მოლაპარაკების წარმართვას
- საქმიანი ურთიერთობების ეტიკეტისა და ეთიკის ნორმების დაცვას“[1]

არსებითად ამ მოდულის დანიშნულება ხედვისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების კვალობაზე ადამიანის შესაძლებლობების გაზრდაა საქმიანი ურთიერთობების სფეროში.

მოცემული კონტექსტიდან გარკვეულწილად ამოვარდნილი ჩანს მეხუთე შედეგის ნაწილი, რომელიც ეტიკეტის ნორმების დაცვას ეხება. ეტიკეტი მეტწილად ურთიერთობების გარეგნულ მხარეს ასახავს. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი საქმიან სფეროში ინტერპერსონალური ურთიერთობების განუყრელ ნაწილს შეადგენს და მისი მნიშვნელობის გააზრება და ქცევის შესაბამისი ნორმების დაცვა უმნიშვნელოვანესი ინტერპერსონალური უნარია, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს წარმატებას. ამ შედეგის შესაბამის კრიტერიუმშიც (პირი „არგუმენტირებულად ასაბუთებს საქმიანი ურთიერთობის ეტიკეტის ნორმების დაცვის აუცილებლობას საქმიანი ურთიერთობის პროცესში“[1]) ჩანს, რომ აქ ძირითადი მიზანი სწორედ ეტიკეტის დანიშნულების შემეცნებაა.

რაც შეეხება მოდულს „კომუნიკაცია“, იგი არსებითად კონკრეტული საკომუნიკაციო უნარების განვითარება-დახვეწას ემსახურება.

„მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

- ზეპირი კომუნიკაცია და დისკუსიის წარმართვა სწავლასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე
- წერილობითი მასალების მომზადება-წაკითხვა და კომუნიკაციის დამყარება
- არავერბალური ინფორმაციის სწორად გაგება და არავერბალური კომუნიკაცია
- კომუნიკაცია ტელეფონითა და ელექტრონული საშუალებებით
- პრეზენტაციის მომზადება-წარდგენა“ [2]

შედეგების მიხედვით მოდულებს შორის არსებული სხვაობა თვალსაჩინოა, მაგრამ შესრულების კრიტერიუმებისა და კონკრეტული ინდიკატორების დონეზე არსებითი განსხვავება ბუნდოვანი ხდება. სწავლების პროცესშიც დამთხვევები ძნელად ასაცილებელია. „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარების“ შესრულების/დაკვირვების მტკიცებულებების დადასტურება ფაქტობრივად შეუძლებელია შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნიკის ფლობის გარეშე. თავის მხრივ, ეფექტური კომუნიკაციის პროცესი არსებითად საკუთარი და სხვა ადამიანების გრძნობებისა და ინტერესების გაგება-გათვალისწინებას ემყარება, რაც „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარების“ სფეროს შეადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმეს ართულებს ლიტერატურასთან დაკავშირებული აღრეულობა. სილაბუსებში ერთი და იგივე სასწავლო რესურსია მითითებული და სხვა ქართულენოვანი წყაროები ფაქტობრივად არ არსებობს.

ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ხშირად ჭირს ამ ორი მოდულის ზოგიერთი ასპექტის გამიჯვნა, რაც გარკვეულ შემთხვევებში ამ მოდულების ურთიერთგადაფარვის შთაბეჭდილებას ქმნის და ტექნიკური ხასიათის მრავალ სირთულეს იწვევს.

მოცემულმა სირთულებმა წარმოშვა აზრი, ამ მოდულების გაერთიანების აუცილებლობის თაობაზე. ეს მოსაზრება არ არის ლოგიკას მოკლებული. თუმცა ამ ორი მოდულის ცალ-ცალკე არსებობასაც აქვს თავისი საფუძველი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასურველია გავერკვეთ პრობლემების არსში. ავხსნათ და გავიაზროთ ამ მოდულების განცალკევებულად შემუშავების მოტივები.

თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, წინააღმდეგობაში მოდის ორი განსხვავებული ხედვა. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით, კომუნიკაცია განიხილება, როგორც ფართო ცნება,

რომელშიც მოიაზრება ადამიანთა შორის ურთიერთობის ყველა ასპექტი, როგორც ტექნიკური, ისე ეთიკურ-ზნეობრივი, და ისეთი საკითხები, როგორებიცაა თანამშრომლობა, კონფლიქტი, მოლაპარაკება, მედიაცია... განიხილება, როგორც საკომუნიკაციო სიტუაციები.

ამ პრინციპებითაა შედგენილი არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა და მოცემული მიმართულებით არსებული ტრენინგ-კურსები.

განსხვავებულ მიდგომას ემყარება მოდულური პროფესიული პროგრამების შესაბამისი მოდულები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოდულში „კომუნიკაცია“ პროცესის ტექნიკური მხარეა აქცენტირებული, „პიროვნულ და ინტერპერსონალურ უნარებში“ კი ადამიანის, როგორც ინდივიდის, თვითშემეცნებისა და სხვა ადამიანებისადმი დამოკიდებულების პრინციპებია გამოკვეთილი.

ეს მიდგომა ეფუძნება ხედვას, რომლის მიხედვითაც კომუნიკაცია განიხილება როგორც გარკვეული უნარი და არა პროცესი. ამ შემთხვევაში კომუნიკაცია, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ვერბალურ კომუნიკაციას, არავერბალურ კომუნიკაციას, მოსმენის უნარს, მიიჩნევა ერთ-ერთ ინტერპერსონალურ უნარად.

“ინტერპერსონალური უნარები

- საკომუნიკაციო უნარები:
 - ✓ ვერბალური კომუნიკაცია
 - ✓ არავერბალური კომუნიკაცია
 - ✓ მოსმენის უნარი
- გუნდში მუშაობის უნარი
- მოლაპარაკების, დარწმუნებისა და გავლენის მოხდენის უნარები
- კონფლიქტის მოგვარებისა და მედიაციის უნარი
- პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი” [3]

როგორც ვხედავთ, ამგვარი მიდგომაც ინტერპერსონალურ უნარებსა და კომუნიკაციას ერთი მთლიანობად მოიაზრებს, რაც, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება შესაბამისი მოდულების განცალკევებას. თუმცა კომუნიკაცია, როგორც უნარი, აშკარად გამოირჩევა სხვა ინტერპერსონალური უნარებისაგან. საკომუნიკაციო უნარების არარსებობის შემთხვევაში ვერ შედგება ვერანაირი ინტერპერსონალური ურთიერთობა და ვერც ერთი სხვა ინტერპერსონალური უნარი ვერ გამოვლინდება. საკომუნიკაციო უნარების მნიშვნელობა და დანიშნულება განსხვავებულია ყველა სხვა ინტერპერსონალური უნარისაგან. შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც ფორმასა და შინაარსს შორის. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, თუ კომუნიკაციას მივიჩნევთ საბაზო ინტერპერსონალურ უნარად, რომელსაც ყველა სხვა უნარი ეყრდნობა. ამგვარი მიდგომის შემთხვევაში გამართლებული ჩანს მისი ცალკე მოდულად გამოყოფა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფესიულ პროგრამაში წარმოდგენილი მოდულის „კომუნიკაცია“ სპეციფიკიდან გამომდინარე, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა მისი სახელწოდება შეცვლილიყო სახელით „საკომუნიკაციო უნარები“.

განსხვავება არსებულ გამოცდილებასა და პროფესიულ პროგრამებში გამოყენებულ მიდგომებს შორის იწვევს კითხვებს მოდულების განმახორციელებელ იმ პირთა მხრივ, რომელთაც შესაბამისი ტრენინგების (კომუნიკაცია, ეფექტური კომუნიკაცია) განხორციელების პრაქტიკა აქვთ. რიგ შემთხვევებში მათ უძნელდებათ უკვე გამოყარებული პრაქტიკის მოდიფიცირება, რაც ართულებს ორიენტირებას შეცვლილ სიტუაციაში. ამ თვალსაზრისით შეიძლება გარკვეული უპირატესობაც კი აქვს იმ პირებს, რომელთაც არ აქვთ ამგვარი გამოცდილება.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურაც ხედვის პირველ მოდელს ემყარება და, შესაბამისად, არ უწყობს ხელს ამ პრობლემის გადაჭრას. პირიქით, გარკვეულწილად ხელსაც კი უშლის პედაგოგს სწორი მიდგომის ჩამოყალიბებაში.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია განმახორციელებელმა პირმა შექმნას მოდულზე მორგებული სასწავლო მასალები. თუმცა ამისათვის, პირველ რიგში, თავად უნდა გაიაზროს პრობლემის არსი და გააჩნდეს შესაბამისი პოზიცია. ამასთან, ამგვარი რესურსის შექმნა, ფაქტობრივად, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პედაგოგს აქვს უცხოენოვანი მასალების შესწავლის შესაძლებლობა. აქვე იმალება კიდევ ერთი საფრთხე. პრობლემის ინდივიდუალურად გადაჭრა, მიუხედავად სილაბუსში მკაფიოდ გაწერილი შედეგებისა, გამოიწვევს სიჭრელეს. შესაძლებელია მივიღოთ სიტუაცია, როცა სწავლის შედეგები, გარეგნული აღწერის თვალსაზრისით, დააკმაყოფილებს სილაბუსის მოთხოვნებს, თუმცა რეალურად მათ შორის დიდი სხვაობა იქნება. უფრო მიზანშეწონილი ჩანს, სასწავლო რესურსების ჯგუფურად, მოდულთა განმახორციელებელი პირების ჩართულობის პირობებში, შემუშავება. ამ მიზნით, სასურველი იქნებოდა სპეციალური „ვორქშოპების“/სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.

შინაარსისა და მიზნების გააზრების კონტექსტში უნდა განვიხილოთ მოდულების მოცულობის საკითხიც. „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარებს“ გაცილებით უფრო ნაკლები დრო ეთმობა (1 კრედიტი, 22 სააუდიტორიო საათი), ვიდრე „კომუნიკაციას“, რომლის მოცულობაც 3 კრედიტია (75 საკონტაქტო საათი). რამაც, ერთი შეხედვით, შეიძლება კითხვები წარმოშვას. მაგრამ შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შესაძლებლად გვეჩვენება ამ ფაქტის ახსნა.

მოდულთა მოცულობების ამგვარი სხვაობა გამართლებული ჩანს, თუ გავაცნობიერებთ ფაქტს, რომ მოცემული მოდულების მიზნები ფაქტობრივად ორი განსხვავებული სასწავლო ამოცანის გადაჭრას მოითხოვს.

„პიროვნული და ინტერპერსონალური უნარების“ შედეგები ძირითადად გარკვეული პრინციპების გააზრება-გაცნობიერებისა და შესაბამისი დამოკიდებულებების განვითარების კვალობაზე მიიღწევა. რაც სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესის შემთხვევაში შესაძლებელია მცირე დროშიც განხორციელდეს. თუმცა მოდულის ხანგრძლივობა, რა თქმა უნდა, არ იძლევა მოცემული უნარებთან დაკავშირებული ჩვევების ჩამოყალიბების საშუალებას. ამასთან, დროის ფაქტორი ხშირად ართულებს შესრულების მტკიცებულებების დადასტურებას. თუმცა ეს პრობლემა ხშირად სხვა მიზეზებითაც არის განპირობებული.

მოდულის „კომუნიკაცია“ შემთხვევაში ძირითადი ამოცანების განხორციელება საკომუნიკაციო უნარების ტექნიკური ასპექტების პრაქტიკის გზით გამყარებას ეფუძნება. სასწავლო შედეგების მიღწევასაც, შესაბამისად, უფრო მეტი დრო ეთმობა.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მოდულის „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“ სწავლების სპეციფიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“ ზოგადი სავალდებულო მოდულია და მისი სილაბუსი საერთოა ყველა პროფესიული პროგრამისათვის, მოდულის განხორციელების პრაქტიკა გვაფიქრებინებს, რომ ეს არ გულისხმობს უნიფიცირებულ სწავლებას. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პროფესიის სპეციფიკა. ზოგი პროფესია სხვა ადამიანებთან მუდმივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული, ზოგ შემთხვევაში კი ასეთი კონტაქტები მინიმალურია. ამ ფაქტორისგან გამომდინარე სასწავლო პროცესი განსხვავებულად უნდა დაიგეგმოს. ასევე, სასურველად მიგვაჩნია, პრაქტიკული დავალებები, როლური თამაშები, საანალიზო შემთხვევები შეესაბამებოდეს კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებულ სიტუაციებს.

მოდულთა სილაბუსებთან დაკავშირებით შეიძლება ერთი ხარვეზიც გამოვკვეთოთ: რიგ შემთხვევებში უფრო მკაფიო ფორმულირებასა და მეტ სიზუსტეს მოითხოვს შედეგები და შესრულების კრიტერიუმები. მაგალითად, „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარების მეორე შედეგის ფორმულირება - „სწორად **განმარტავს** ინდივიდუალური თუ კულტურული განსხვავებების მნიშვნელობას ჯგუფის მუშაობისათვის“[1] - არ შეესაბამება დაკვირვების მტკიცებულებას. სასურველია ტერმინის „კომუნიკაცია“ უფრო ზუსტი გამოყენება.

მოდულების არსებითი ასპექტების გაშუქების კვალობაზე, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია როგორც მათი ცალ-ცალკე სწავლება, ისე ერთ მოდულად გაერთიანება. ორივე გადაწყვეტილებას ექნება თავისი უპირატესობები და საფრთხეები.

თუკი მოდულები ისევ განცალკევებულად დარჩება, უკვე წამოჭრილი პრობლემების განეიტრალება აუცილებლად მოითხოვს მოდულთა გადამუშავებასა და განმახორციელებელ პირთა მჭიდრო კოორდინაციას. გაერთიანების შემთხვევაში კი ჩნდება საფრთხე, რომ აქცენტი გადატანილი იქნება კომუნიკაციის ტექნიკურ მხარეზე და პიროვნული და ინტერპერსონალური უნარებისათვის ნიშანდობლივი ასპექტი ნაკლებად იქნება გამოკვეთილი, რაც გაუმართლებელია. კარგად უნდა იქნეს გააზრებული, რომ „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“ არსებითად ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული მოდულია, რაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი სახის ურთიერთობას.

მიუხედავად იმისა, რა მიმართულებით წარიმართება პროცესი. ახალი მოდულის შემუშავება თუ უკვე არსებული მოდულების შემდგომი დახვეწა-განვითარება უნდა დაეფუძნოს საკითხის არსებითი ასპექტების გააზრებას. ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული ამ მოდულების განხორციელების უკვე არსებული პრაქტიკა. უნდა შეიქმნას კონკრეტულ მოდულზე თუ მოდულებზე მორგებული სახელმძღვანელოები. პროცესში აუცილებლად უნდა ჩაერთონ ამ მოდულების პრაქტიკაში განმახორციელებელი პირები.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისთავად „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“ ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი პოტენციის მქონე მოდულია. სასურველი იქნებოდა ამ შინაარსის სასწავლო კურსი (თუნდაც არჩევითი) შეტანილ იქნას საბაკალავრო სწავლებაშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება ამგვარი კურსის არსებობა მასწავლებლის მომზადებასთან დაკავშირებულ პროგრამებში.

გამოყენებული წყაროები

- [1] მოდული „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“, სილაბუსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 28-07-2015
- [2] მოდული „კომუნიკაცია“, სილაბუსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 28-07-2015
- [3] Interpersonal skills, <https://www.skillsyouneed.com/>